ქ. წალენჯიხა

23 ივნისს 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N1

2022 წლის 23 ივნისს, გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: დათა კუკავა, თენგიზ ფიფია, ირაკლი სალია, ეკა სამუშია; ასევე ესწრებოდნენ : მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია, ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია და მერიის წარმომადგენლები.

დაწყების დრო: 12:^{00}-სთ.
დასრულების დრო: 12:^{20}-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის შესახებ;

პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში /იჯარით/ აუქციონის ფორმით გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა

და

ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

4.ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში

დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

5.სხვადასხვა

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქარდავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი. წარმოდგენილ დღის წესრიგს ერთხმად მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრმა თენგიზ ფიფიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, ქონების შეფასებისას დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას რამდენად ეყრდნობოდა და ჰქონდათ თუ არა რაიმე ბერკეტი, დასკვნის საიმედოობაში ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, მისი გადამოწმების თაობაზე. საკითხი სხდომაზე გასატანად ბოლომდე უნდა იქნეს შესწავლილი და გარკვეული ყველაფერი.

კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა დაეთანხმა თენგიზ ფიფიას შენიშვნას და განმარტა რომ ექსპერტის დასკვნას ცალსახად არ ეთანხმება. წარმოდგენილი დასკვნით, ქალაქში უფრო ნაკლებად არის შეფასებული იგივე მოცულობის მიწა, ვიდრე სოფლად. მიუხედავდა იმისა, რომ აუდიტის დასკვნას აქვს შედარებითი განმარტება გაკეთებული, მაინც ეჭვქვეშ დგება შეფასების ასეთი რადიკალურ განსხვავება. თემურ ქარდავამ აღნიშნა, რომ თუ კომისიის წევრები დამეთანხმებიან, მიაჩნია, რომ ქალაქ ჯვარის ტერიტორიაზე არსებული ობიექტის პრივატიზების საკითხი უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ და შემდეგ გაიტანონ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, ასეთ მცირე ფასად მიუღებლად მიმაჩნია ქალაქის ცენტრში მიწის გაყიდვა.

კომისიის წევრმა ომარ ქარდავამ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რატომ გადაწყვიტა მერიამ ამ ობიექტის პრივატიზება და არის თუ არა დაინტერესებული პირის ვინაობა ცნობილი თუ ინიციატივა მერიის მხრიდან მოდის?

მომხსენებელმა გელა სალიამ განმარტა , რომ ქალაქის ცენტრში 8,88 ლარად არის შეფასებული მიწა და ფასი აქედან გამომდინარეობს. მერიის ინიციატივით მოხდა ფართის შეტანა საპრივატიზებო ნუსხაში, თუმცა დაინტერესება იყო ფიზიკური პირის მხრიდან. როგორც ცნობილია, ქალაქის ცენტრში მოთხოვნადია ყოველთვის მიწები და აქედან გამომდინარე მერიამ საკითხი ბოლომდე შეისწავლა და წარმოგიდგინათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღისწესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრით, ერთხმად შენიშვნების გათვალისწინებით (მომხრე 5დეპუტატი)

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის აქტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე გასატანად მომზადებულად იქნა მიჩნეული (საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნა ქ. ჯვარში მდებარე ობიექტი (კოდი 47.14.34.246)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრმა ომარ ქარდავამ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რა ვადით გაიცემოდა იჯარა, რასაც მომხსენებელმა უპასუხა რომ ვადას მერი საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებისას განუსაზღვრავს.

კომისიის წევრმა თენგიზ ფიფიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით ქ. წალენჯიხა ზღვაიას დასახლებაში მდებარე ფართი რა მიზნით გაიცემა და არის თუ არა ცნობილი დაინტერესებული პირის ვინაობა ?

მომხსენებელმა გელა სალიამ უპასუხა, რომ ზღვაიას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე ინტერესი გამოთქვა ფიზიკურმა პირმა (ხუციშვილი) პავლონიის გასაშენებლად.

თენგიზ ფიფიამ ეს მიუღებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ჯობია მიწა დასამუშავებლად მივცეთ ადგილობრივ პირს და პირობებში ჩაუდოთ არა პავლონია და მრავალწლიანი მცენარეების მოყვანა , არამედ ისეთი მიზნის განსახორციელებლად, რასაც წლები არ სჭირდება. თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ წინააღმდეგი არ იყო ქონების გაყიდვის, მაგრამ მიაჩნდა, რომ პირობა უნდა იყოს დაკონკრეტდებული და ობიექტის გაცემა უნდა მოხდეს შესაბამისი ვადების გათვალისწინებით.

მომხსენებელმა გელა სალიამ უპასუხა, რომ ზოგადად, ხელშეკრულების დადგების დროს დებენ მიწის დამუშავების პირობას, აცხადებენ აუქციონს , ვინც გაიმარჯვებს იმათზე გაიცემა იჯარით მიწის ნაკვეთი. მერიის მიერ იჯარით გასაცემად გამოტანილი მიწები წლებია დაუმუშავებელია, რადგან გაჩნდა მოთხოვნა, მერიამ გადაწყვიტა მათი სარგებლობაში გაცემა, რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ადგილობრივების დასაქმებასაც. აუქციონში გამარჯვებული ვინც იქნება ის გადაწყვეტს თუ რას გააშენებს ამ ტერიტორიაზე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ომარ ქარდავამ მომხსენებელს გელა სალიას კითხვით მიმართა, იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებულმა მიწა არ დაამუშავა ამ შემთხვევაში რა ბერკეტი გააჩნიათ შესაბამისი ღონისძიებების განსახორციელებლად, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ გაუქმდებოდა საიჯარო ხელშეკრულება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ ეს მიწა არის გზისპირას და მომავლისთვის პერსპექტიული ადგილია. პავლონიის გაზრდას კი წლები სჭირდება .

კომისიის წევრმა თენგიზ ფიფიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, ჰქონდათ თუ არა სრული ინფორმაცია გასასხვისებელი მიწების თაობაზე, აღნიშნა, რომ საპრივატიზებო მიწები დროულად უნდა იქნეს შეტანილი ნუსხაში, რათა ხალხს მიეცეს შესაძლებლობა დაამუშავოს და შეიძინოს მიწები. ამასთან, საზოგადოებას, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მიწებთან დაკავშირებით, გამოკრული უნდა იყოს საინფორმაციო დაფაზე საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ეთანხმება კომისიის წევრის თენგიზ ფიფიას მიდგომას მიწის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით .

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ განაცხადა, რომ კომისიამ შეისწავლოს და განიხილოს იმ ობიეტების თაობაზე, რომელთა პრივატიზება შეიძლება განახორციელოს მუნიციპალიტეტმა.

მომხსენებელმა გელა სალიამ მზადყოფნა გამოთქვა ამ საკითხებზე თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 5 დეპუტატი) ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე გასატანად მომზადებულად იქნა მიჩნეული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღისწესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 5 დეპუტატი) ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის აქტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე გასატანად მომზადებულად იქნა მიჩნეული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღისწესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 5 დეპუტატი) ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის აქტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე გასატანად მომზადებულად იქნა მიჩნეული.

ამით საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /თემურ ქარდავა/